

საქართველოს ორგანული კანონი
„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 12.10.2009, მუხ. 159) შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3¹¹“ ქვეპუნქტი:

„3¹¹) საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომში - სდპ) - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული იურიდიული პირი.“.

2. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც შედგება 9 წევრისაგან. თუ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 5-ზე ნაკლებია, ეროვნული ბანკის საბჭო არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს თავისი ფუნქციები. ამ შემთხვევაში ვაკანსია უნდა შეივსოს ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 თვისა.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საბჭოს თავმჯდომარისა, შედიან ეროვნული ბანკის სამი ვიცე-პრეზიდენტი და სხვა წევრები.“.

3. მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ¹) განსაზღვროს საფინანსო სექტორის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებები;“.

4. 16² მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 16³ მუხლი:

„მუხლი 16³. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტი

1. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბრძანებით ქმნის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტს. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტის წევრები არიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, შესაბამისი ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები.

2. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

3. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების მიერ ამავე კანონის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტის გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით მიეწოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს,

ხოლო პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.

5. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.“.

5. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბრძანებით ქმნის ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრები არიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, სამი ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები.“.

6. 48-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების საქმიანობას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.“;

ბ) მე-4-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, ეროვნული ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია, პირს უარი განუცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტად რეგისტრაციაზე/ლიცენზირებაზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამავე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე, ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტად/პირად რეგისტრაციაზე, თუ:

ა) პირის სუბიექტად რეგისტრაციამ/პირზე ლიცენზიის გაცემამ ან პირის მიერ სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შეძენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს საფინანსო სექტორის სტაბილურობას;

ბ) პირის სუბიექტად რეგისტრაციამ/პირზე ლიცენზიის გაცემამ ან პირის მიერ სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შეძენამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციის სავალდებულო გადაწყვეტილებით ან/და რეკომენდაციით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა ან/და შეუსრულებლობა;

გ) პირის სუბიექტად რეგისტრაციამ/პირზე ლიცენზიის გაცემამ ან პირის მიერ სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შეძენამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმების დარღვევა;

დ) დაინტერესებულმა პირმა ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში არ წარუდგინა მას სრულყოფილი ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის დასაწყებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების შესრულებისათვის საჭირო თანხის ან საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებულ შემთხვევებში მნიშვნელოვანი წილის შეძენისათვის საჭირო თანხის წარმომავლობის შესახებ;

ე) ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციით დაინტერესებული პირი (სუბიექტი, ადმინისტრატორი, მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, ბენეფიციარი მესაკუთრე, ხელმძღვანელი პირი) არღვევს სამეწარმეო, საბანკო ან/და საფინანსო კანონმდებლობას, ან/და ახორციელებს ისეთ სამეწარმეო პრაქტიკას, რომელიც საფრთხეს უქმნის ან რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონკრეტული სუბიექტის ან/და საფინანსო სექტორის ჯანსაღ ფუნქციონირებას;

ვ) დაინტერესებული იურიდიული პირის ჯგუფის სტრუქტურა, მფლობელობის სტრუქტურა და მმართველობის სტრუქტურა ან/და საოპერაციო საქმიანობა/გარემო საკმარისად გამჭვირვალე არ არის, რამაც შეიძლება შეაფერხოს ეფექტიანი ინდივიდუალური ან კონსოლიდირებული ზედამხედველობის განხორციელება ან/და საფრთხე შეუქმნას კონკრეტული სუბიექტის ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას.

4¹. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) საფინანსო სექტორის წარმომადგენელს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს - აუდიტორს, აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმას, სერტიფიცირებულ ბუღალტერს, იურიდიულ პირს, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია საფინანსო სექტორის წარმომადგენლის/პირის კაპიტალის წარმოშობის წყაროების, მფლობელობის სტრუქტურის, მნიშვნელოვანი წილის უშუალო მესაკუთრეებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ (მათ შორის, ქონების ან/და ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ);

ბ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საფინანსო სექტორის წარმომადგენელს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს გარკვეული ტიპის ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა, მსგავსი ანაზღაურების გაცემა, დააკისროს ფულადი ჯარიმა, გაუუქმოს რეგისტრაცია და ჩამოართვას ლიცენზია, ასევე გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები/ლონისმიერებები;

გ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირის ადმინისტრატორს/ხელმძღვანელს პირს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება, დააკისროს ფულადი ჯარიმა და მოითხოვოს მისი თანამდებობიდან განთავისუფლება;

დ) კომერციულ ბანკებს მიაწოდოს იმ პირთა სია, რომელთა საქმიანობა შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რისკს;

ე) მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ან არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენელს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში) თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დააკისროს სანქცია.

4². ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მოთხოვნის დარღვევის გამო ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორის წარმომადგენლისთვის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებული პირისთვის დაკისრებული სანქციის შესახებ ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ქვეყნდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4³. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის წარმომადგენლის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე.

5. საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტებისაგან და პირებისაგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).“.

7. ორგანულ კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 52⁴ მუხლი:

„მუხლი 52⁴. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) ზედამხედველობა გაუწიოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების საქმიანობას, რაც მათ შორის, მოიცავს რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, წერილობითი მითითებების გაცემას, დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას;

ბ) უზრუნველყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, გამოსაყენებლად სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ნორმების ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღება და მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დადგენა;

გ) განსაზღვროს ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესები, შეიმუშაოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკა და სხვა სამართლებრივი აქტები, მიანიჭოს სუბიექტს სდპ-ის სტატუსი, განსაზღვროს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნები და წესები;

დ) განსაზღვროს აუდიტორული საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი წესები და მოთხოვნები;

ე) განსაზღვროს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი, დაადგინოს წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის პროცედურები;

ვ) განახორციელოს აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;

ზ) განსაზღვროს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული სასერტიფიკაციო განათლების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნები და დამატაციოს შესაბამისი სტანდარტები;

თ) განიხილოს და დაამტკიცოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სტანდარტები, წესები და მეთოდოლოგია;

ი) დაადგინოს სასერტიფიკაციო პროგრამის, საგამოცდო პროცესის და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების წესები; კ) დადგენილი სტანდარტის შესაბამისად

განახორციელოს სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარება;

ლ) განახორციელოს პროფესიული ორგანიზაციების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროფესიული განათლების საქმიანობით დაკავებული სხვა პირების მიერ კანონთან და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი;

მ) აწარმოოს აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრი, აღიარებული სასწავლო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოების, ანგარიშგების ვებგვერდი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოს სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიანი რეესტრის საჯაროობა;

ნ) უზრუნველყოს წარმოდგენილი ანგარიშგებების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა და საჯაროობა;

ო) განახორციელოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მონიტორინგი, შემოწმება, მოკვლევა;

პ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სამართალდარღვევათა გამოვლენა;

ჟ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე მეთოდური მითითებები, ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები;

რ) განახორციელოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

2. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების, წერილობითი მითითებების დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ გამოსაყენებელი სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი, განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით.“.

მუხლი 2. გარდამავალი დებულება

1. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების დაგეგმილი და ამ კანონის გამოქვეყნების თარიღის მდგომარეობით არსებული ფაქტიური მაჩვენებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

2. 2021 წლის 1 იანვარამდე, ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია, შეასრულოს თავისი ფუნქციები იმ შემთხვევაშიც, თუ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 4-ს შეადგენს.

3. 2021 წლის 1 მარტამდე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების ზედამხედველობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გამოცემა.

4. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს ზედამხედველობა გაუწიოს 2021 წლის 1 მარტიდან.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია ბოლო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობასა და უფლებამოსილებასთან მიმართებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მაქსიმალურად ეფექტურად და სრულყოფილად აღსრულების აუცილებლობით. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და თანმდევ საკანონმდებლო აქტებში 2017 წლიდან დღემდე შესული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაძლიერდა საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლები საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა და დამატებით სხვა სუბიექტთა მიმართ, კერძოდ:

- გაძლიერდა საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატი ფულის გათეთრების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით;
- საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა „საბანკო ჯგუფის“ ზედამხედველობის სრული უფლებამოსილება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობასა და რეგულირებას დაექვემდებარა ახალი საზედამხედველო სუბიექტები - საკრედიტო საინფორმაციო ბიურო და სესხის გამცემი სუბიექტი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაექვემდებარა სსიპ საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობა;
- განისაზღვრა კომერციული ბანკების რეზოლუციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო.

წარმოდგენილი კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების გაფართოებას, კერძოდ, ეროვნულ ბანკს ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობის ფუნქცია.

აღნიშნული გარემოებები განაპირობებს საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურულ ცვლილებებს, როგორც დამატებითი სტრუქტურული ერთეულების შექმნის, ასევე უკვე არსებულის ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების გაძლიერებისა და გაფართოების კუთხით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის კანონმდებლობით მინიჭებული საზედამხედველო და მარეგულირებელი უფლებამოსილების სრულყოფილად და მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელების და საქმიანობის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, დღის წესრიგში დადგა საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოს - ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა და საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთა რაოდენობის ზრდის საკითხი.

კანონპროექტის შესაბამისად, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობის 9 წევრამდე გაზრდა განპირობებულია, ერთი მხრივ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა კენტი რაოდენობის შენარჩუნების, ხოლო მეორე მხრივ, საუკეთესო კორპორაციული მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა უმრავლესობას არააღმასრულებელი წევრები შეადგენდეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს წევრთა რაოდენობა 9 წევრზე ნაკლები იქნება, 3 ვიცე-პრეზიდენტის არსებობის პირობებში, საბჭოს შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი აღმასრულებელი და არააღმასრულებელი წევრები.

კანონპროექტის შემუშავების პროცესში ასევე შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკების საბჭოს წევრთა რაოდენობისა და სტრუქტურის თვალსაზრისით. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, ავსტრიის (10 წევრი)¹, დანიისა² და უნგრეთის (მინიმუმ 5, მაქსიმუმ - 9 წევრი, მათ შორის, არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 ვიცე-პრეზიდენტი) გამოცდილება.

დღეს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით, აუდიტის სფეროს ზედამხედველობა განისაზღვრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის თანახმად, სფეროს ზედამხედველს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით კი, სადაც პრიორიტეტი, მათ შორის, კაპიტალის ბაზრის განვითარებაა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ფუნქცია ხშირ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ორგანოებთან არის ინტეგრირებული (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი - Financial Reporting Council (FRC); ავსტრალია - Australian Securities & Investments Commission (ASIC), ბელგია - FSMA და მრავალი სხვ.); სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, ევროდირექტივებით განსაზღვრული ორგანოს მდგრადობის მოთხოვნის შესაბამისად, მიზანშეწონილი გახდა მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილება და საქართველოს ეროვნულ ბანკთან სტრუქტურული ერთეულის სახით ინტეგრირება, რაც მის დამოუკიდებლობის გაძლიერებას და მდგრადობას შეუწყობს ხელს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

¹ <https://www.oenb.at/en/About-Us/legal-framework.html>, მუხლი 22(1).

² https://www.nationalbanken.dk/en/about_danmarks_nationalbank/Legal_basis/Documents/The%20National%20bank%20of%20Denmark%20Act.pdf, მუხლი 4,5,6.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება და საქმიანობის წესი, მათ შორის, ეროვნული ბანკის საბჭოსთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგებულია ორგანული კანონით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობასა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობასთან დაკავშირებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე.

ა. ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით საქართველოს ეროვნულ ბანკს მიეცეს შესაძლებლობა ეფექტურად და შეუფერხებლად განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და კიდევ უფრო ქმედითად და მოქნილად იმოქმედოს საფინანსო სექტორის, სესხის გამცემი სუბიექტის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, კაპიტალის ბაზრის ზედამხედველობის/რეგულირების და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიმართულებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ეროვნული ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს საზედამხედველო ორგანოდ განსაზღვრა უზრუნველყოფს რეგულირების ეფექტიანობის ზრდას და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა ფუნქციებთან სინერგიის ხარჯზე, დადებით ეფექტს. ასევე, ქვეყნის მასშტაბით, დაიხვეწება სისტემა, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის კუთხით ერთიანი მიდგომებისა და პრინციპების აღსრულებას გააძლიერებს. ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს რეგულირების საქართველოს ეროვნულ ბანკთან გაერთიანებით, შესაძლებელი გახდება დაკავშირებული ადმინისტრაციული თუ სხვა ხარჯების ოპტიმიზაცია/მინიმიზაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 და მე-17 მუხლებში, რომლებიც არეგულირებს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთა რაოდენობას, კერძოდ, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 7 წევრის ნაცვლად განისაზღვრება, 9 წევრით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტთა რაოდენობა 2 ის ნაცვლად - სამით.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობის ცვლილებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტით, იცვლება ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა და აღნიშნული 4 წევრის ნაცვლად, განისაზღვრება 5-ით. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა ამჟამად 5 წევრს შეადგენს, საბჭოს წევრთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის საბჭოს საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, განისაზღვრება გარდამავალი რეგულირება, კერძოდ, გარკვეული პერიოდი - 2021 წლის 1 იანვარამდე, ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილი იქნება შეასრულოს თავისი ფუნქციები იმ შემთხვევაშიც, თუ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 4-ს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობის უფლებამოსილება, ისევე როგორც ეროვნული ბანკის სხვა საზედამხედველო სუბიექტებთან მიმართებით, აგრეთვე მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას - ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაინტერესებულ პირს უარი განუცხადოს

რეგისტრაციაზე/ლიცენზირებაზე და ასევე განახორციელოს ზედამხედველობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით. შესაბამისად, ვინაიდან, ორგანული კანონის 48-ე მუხლის სტრუქტურა იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ იგი მითითებას მხოლოდ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე აკეთებს, რომელშიც არ შედის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სუბიექტები/პირები, საჭიროა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-4, 4¹-მე-5 პუნქტებში, რათა ეროვნული ბანკის სრული საზედამხედველო მანდატი (მათ შორის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით) გავრცელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე/პირებზე.

კანონპროექტით, ორგანულ კანონს ემატება 52⁴ მუხლი, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობის მიმართულებით, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა სუბიექტების მიმართ მოქმედი საზედამხედველო მანდატის ანალოგიურად, განსაზღვრავს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობა მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, წერილობითი მითითებების გაცემას, დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტების მიმართ გამოსაყენებელი სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი, განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით. წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ნაცვლად, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით, სერტიფიცირებული ბუღალტრის, იურიდიული პირის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი, ასევე აუდიტორის, აუდიტორული (აუდიტური) ფირმის საზედამხედველო ორგანოდ საქართველოს ეროვნული ბანკი განისაზღვრება. შესაბამისად, ეფექტური ზედამხედველობის განსახორციელებლად, აუცილებელია, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების, წერილობითი მითითებების დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ გამოსაყენებელი სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი, განისაზღვროს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით, როგორც ეს მოქმედი კანონმდებლობით მოწესრიგებულია ეროვნული ბანკის სხვა საზედამხედველო სუბიექტებთან მიმართებით.

კანონპროექტით ფართოვდება საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება, მათ შორის, ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით და ემატება ახალი საზედამხედველო სუბიექტები. ხოლო, სრულყოფილი ზედამხედველობის

განხორციელებისათვის, აუცილებელია გარკვეული დრო ნორმატიული ბაზის მოსამზადებლად. ამდენად, კანონპროექტით განისაზღვრება გარდამავალი რეგულირება, რომლის შესაბამისად, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით ზედამხედველობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გამოცემას საქართველოს ეროვნული ბანკის უზრუნველყოფს 2021 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს ეროვნული ბანკი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით კი, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს ზედამხედველობას გაუწევს 2021 წლის 1 იანვრიდან.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2020 წლის 1 მაისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრისა და ვიცე-პრეზიდენტის ანაზღაურება, ისევე როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული დაფინანსება განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. რაც შეეხება, კანონპროექტის გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, კანონპროექტით განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სუბიექტების მიმართ

ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის დარღვევაზე დაადგინოს სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმის ოდენობები, აღნიშნული რეგულირება, შესაბამისი ფულადი ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში, გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, თუმცა, ამ ეტაპზე, გავლენის ზუსტად შეფასება შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა და ვიცე-პრეზიდენტთა რაოდენობის ზრდას. შესაბამისად, კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას მოახდენს ეროვნული ბანკის საბჭოს ახალი წევრისა და ვიცე-პრეზიდენტის ფინანსურ შედეგებზე. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრისა და ვიცე-პრეზიდენტის ანაზღაურება განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების, წერილობითი მითითებების დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ გამოსაყენებელი სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი, განისაზღვროს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით. აღნიშნულმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს შესაბამის პირებზე ფულადი ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში, თუმცა, ამ ეტაპზე, გავლენის ზუსტად შეფასება შეუძლებელია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას - კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს ფულადი

ჯარიმის ოდენობა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების, წერილობითი მითითებების დარღვევის შემთხვევაში.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. აგრეთვე კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევს სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულებების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.